# სამშობლო

წ. I 1915 წ. შაბათი 2 მაისი

**ფასი**: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 70 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 70


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

**გაზეთი ღირს:**

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

---

**ნინო გრიგოლის ასული, დავით (იგივე თემუხარ) გრიგოლის ძე, გრიგოლ და ივანე, მართა და მელიტონ აბაშიძენი**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისა, მეორენი ძმის და დანარჩენი ძმისწულის და მაზლისწულის ქუთ. ქარ. გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწავლის

ალექსანდრე (იგივე სანდრო) დავითის ძის

**აბაშიძისას.**

პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, საღამოს 6 საათზე. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას, 3 მაისს, ივანოვის ქ., ხარიტონ ფაჩულიას სახლიდან, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—1—194

---

ულრმესად მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ნიკიფორე მოსეს ძე და მატრონა მიხეილის ასული ჯანელიძეები ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 3-ს ამა მაისს, დღით კვირას, დილის 11 საათზე, გადახდილი იქნება საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში, ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი, უსაყვარლესი ჩვენი ტრაღიკულად მოკლული შვილის

**ვ ა ს ი კ ო ს**

სულის მოსახსენებლად. 2—1—196

---

ძმები, დები, რძლები და სიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 2 მაისს, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი კოლეჟსკი სოვეტნიკის

დავით გიორგის ძის კეკელიძის

სულის მოსახსენებლათ.

წირვა დაიწყება დილის ათ საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 1—1—193

---

**თ-დ მიხაილ პავლეს ძე და გუგულია მიხაილის ასული მიქელაძე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 5 მაისს, ს. კულაშს, ჯვარცმის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველი საყვარლის მეუღლის და მეორე ძვირფასი დედ-ს

კნეინა კესარია კონსტანტინე აფაქიძის ასულის მიქელაძის

სულის მოსახსენებლათ. 1—1—195

---

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

**ქუთაისში**

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს**, რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისი“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს.** თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

---

**ქუთაისის თეატრი.**

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 2 მაისს, წარმოდგენილი იქნება ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით, პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა შოთა დადიანისა

## —გ ა ნ წ ი რ უ ლ ნ ი—

4 მოქ.

მონაწილეობას მიიღებს არადილი-იშხნელი და ამხანაგობის მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

---

ფოთის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 12 მაისს 1915 წ., ნაშუადღევის 12 საათზე, ფოთის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში საჯარო ვაჭრობით გაუმეორებლათ გაიყიდება

## ორთქლის ორი სწრაფმავალი მანქანა კომპაუნდი,

რომელიც გაკეთებულია ლინკოლნში რობეისა და ამხანაგობის ქარხანაში; თითოეული მანქანა 48 ეფექტიან მალისაა, ორთქლის სიმძიმე უდრის 150 ფ. ერთ კვად. დიუმზე.

## წყლის მილიანი ორი ქვაბი შუხოვის სისტემისა.

გაკეთებულია მოსკოვში ბერის ქარხანაში. თითოეული 540 კვ. ფ. სითბოს ზედაპირით, ყველა საჭირო არმატურითა და გარნიტურით. მანქანები და ქვაბები არის ფოთის ნავსადგურში, რკინის გზის ლიანდაგის ახლოს ქალაქის საელექტრონო ძველ სადგურში, სადაც შეიძლება მათი ნახვა თვითმართველობის ნებართვით დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი. 3—1

---

## ქუთაისში დაარსდა „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების“ განყოფილება.

ყოველგვარი შემოწირულება ომისაგან დაზარალებულ აჭარელთა სასარგებლოთ უნდა გამოეგზავნოს ამ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ხაზინადარს ბ-ნ გრიგოლ ივანეს ძე **გველესიანს.**

---

**კბილის ექიმები**

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**კაბინეთი** მასსაჟის და საექიმო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ორთქლის ვანა**, რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ფუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, დორთქიფანიძის სახლი. თ.

---

## გ ა მ ო ც დ ი ლ სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. ჯ.

---

**ექიმი ე. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

---

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**დ. ყვირილაში.**

## სტუდენტი ვარლამ ფერაძე

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან **ვამზადებ** მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

**მისამართი:** ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—4—187

---

## ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**ლიბავის აღება.**

**პეტროგრადი.** 28 აპრ. გერმანელთა ცნობით გერმანელებმა ლიბავასთან იხელთეს 12 ზარბაზანი, ეს ცნობა სიცრუეა. ლიბავის მთელი არტილერია ოთხი ზარბაზნისაგან შესდგებოდა. როსსიენის რაიონში მტერმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. ჩვენ კი არ ვიხევთ უკან—როგორც მტერი იუწყება—არამედ მტერი იძულებულია ჩვენი წინსვლით უკან დაიხიოს. ჩვენი წინსვლა ათ ვერსს უდრის. მტერი ამტკიცებს, რომ კალვარია—ავგუსტვო-პრასნიშთან ჩვენი იერიში მოიგერიეს და დიდი ზიანით უკან დაგვახევიეს, ჩვენ აქ იერიში სრულებითაც არ მიგვიტანია. ამ ფრონტზე იერიშები სწარმოებდა მხოლოთ ვახე-იედნოროჟცთან და ფოლვარკ პომიანთან, სადაც მტერს მოქონდა იერიშები დემონსტრატიული მიზნით. რაც შეეხება გალიციაში ბრძოლებს, ბოლო დრომდის ბრძოლას აქ მასიური ხასიათი აქვს. თუმცა ჩვენი დანაკლისი აქ დიდია, მაგრამ მტერსაც აურაცხელი ზარალი მოუვიდა. ის ცდილობს ტყვეთ წაყვანილთა რიცხვი გაზარდოს, რომელთა შორის ბევრი ჩვენი დაჭრილები იმყოფებიან, რადგან უკან დახევის დროს ჩვენ ვერ შევძელით ისინი ბრძოლის ველიდან გამოგვეყვანა. ასეთი ცნობებით მტერი სცდილობს ნეიტრალურ ქვეყნებზე შთაბეჭდილების მოხდენას.

**ავსტრო-გერმანელთა ზარალი კარპატებში უკანასკნელ ბრძოლის დროს.**

**პეტროგრადი.** 28 აპრილი. ავსტრო-გერმანელებმა გასულ კვირაში ბრძოლის დროს ვისლა-კარპატებს შუა დაკარგეს 100.000 კაცამდე.

**ახალი სესხი.**

**პეტროგრადი.** 28 აპრილი. ფინანსთა მინისტრს უმაღლესათ ებრძანა გამოუშვას 1915 წ. ერთი მილიარდი მანეთის საშინაო სესხი.

# დღეს რა მოხდა.

კავკასიის ფრონტზე მხოლოდ სროლაა. თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა. —

რუსებმა უკანვე დაიბრუნეს ქ. შავლი, განთავისუფლეს რკინის გზის ლიანდაგი და მიმოსვლა აღადგინეს. გერმანელები შეეცადენ დაკარგული ადგილების უკან დაბრუნებას, მაგრამ დიდი ზიანი ნახეს. ბრძოლა შავლის რაიონში ისევ გრძელდება. გალიციაში ბრძოლა შენელდა. აქ რუსებმა წინდაწინ არჩეული ადგილები დაიჭირეს და გაამაგრეს. სამაგიეროთ მოქმედება ბუკოვინის საზღვრებში გაცხოველდა. რუსებმა აიღეს ზალეშჩიკი. მტრის ცენტრმა ობერტინ გოროდენკასკენ დაიხია. აქ მტრის რამდენიმე ბატალიონი მოსპეს და მრავალი ტყვე წამოიყვანეს.

დასავლეთის ასპარეზზე დიდი ბრძოლები ხდება. ფრანგებმა ერთი მეორეზე დაიჭირეს რამდენიმე სოფლები, მაგ. კარანსი, ნევილი—სენ ვაასტი და სხ. რამდენიმე დღის განმავლობაში 4000 კაცზე მეტი ტყვეთ წამოიყვანეს—ფრანგები წინ მიიწევენ აქაც და ლეპრეტრის ტყეშიდაც.

ზღვაზედაც ბრძოლები მოხდა. გერმანელებმა ჩასძირეს ინგლისის გემი „კოლუმბია“, მაგრამ ინგლისელებმა ჩასძირეს გერმანელთა ყველა ნაღმოსნები, რომელნიც ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდენ.

ინგლისელებმა პრემიები დანიშნეს გერმანელ წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენათ. სჩანს ხმელთა შუა ზღვაში გერმანელთა წყალქვეშა ნავები გამოჩენილან.

**პეტროგრადი.** 29 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოლთისის გზით სროლაა მტრის არიერგარდთან დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი.** 29 აპრილი. ჩვენმა ჯარმა დაიკავა სოფ. ოროკა. ამ სოფლის დაკავებაში დიდი სამსახური გაგვიწია ჯავშნიანმა მატარებელმა, იმავე დღეს ჩვენ დავიკავეთ სოფ. შაბოკრუკი და „290“ სიმაღლე. ტყვეთ წამოვიყვანეთ 2000 ჯარისკაცი და აფიცრები. 26-ს ჩვენ იერიში მივიტანეთ რამდენიმე ადგილას და ვიხელთეთ სამი მძიმე, ერთი მსუბუქი იარაღი და მრავალი ტყვე. 28-ს მტერმა იერიში მოიტანა ანგელოვოს რაიონში. ორივე იერიში მოვიგერიეთ

**შავლის აღება.**

**პეტროგრადი.** 30 აპრილი მთავარ სარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში მტერს ვავიწროებთ, მტერი ქ შავლიდან სამხრეთ დასავლეთისკენ გავდევნეთ. ნემანის მარცხენა ნაპირზე და ვისლაზე სოხაჩევის სამხრეთით ჩვენი ქვეითა ჯარი ბზურაზე გადავიდა და 28 ღამით ტყვეთ წამოვიყვანეთ რამდენიმე ათეული ჯარის კაცი და სამი აფიცერი. გერმანელებმა იერიში მოიტანეს სკერნევიცის სამხრეთით და რავასთან. ლუტოვისკასთან ჩვენმა ჯარმა დაიკავა არჩეული ადგილი. მტრის წინსვლა აქ შევაჩერეთ. უჟოკის და სტრიის გზით ავსტრიელთა იერიშები მოვიგერიეთ. როჟანკასთან მტერმა ააფეთქა ჩვენი სანგრების წინ ჰორნი (საქვაბეებია) და შემდეგ იერიში მოიტანა ჩვენ პოზიციებზე, ამის შემდეგ მათ შესძლეს ჩვენი ადგილის დაკავება. ჩვენ იერიშით განვდევნეთ იქიდან ავსტრიელები აქ ჩვენ მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. ივორნიკის რაიონში, ლომნიცის დასავლეთით ჩვენ წარმატებით ვმოქმედებდით. მტერმა აქ დიდი ზარალი ნახა, ადგილზე 5000 მოკლული დასტოვა. დნესტრის რაიონში, ობერტინ-ჩერნოვიცის ფრონტზე, სამოცი ვერსის მანძილზე ჩვენი ჯარი შეტევას დაადგა, წინ მიიწევს და მტრის კონტრ-იერიშებს იგერიებს. დავითვალეთ 5000 კაცზე მეტი ტყვე. წამოვიღეთ 6 ზარბაზანი, რვა ტყვიისმტყორცნელი და მრავალი სამხედრო სურსათი. მტერმა გასწმინდა დნესტრის მარცხენა ნაპირი და გავდევნეთ ქ. ზალეშჩიკიდან.

**პეტროგრადი.** 29 აპრილი. ბუკოვინის საზღვარზე, დნესტრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა საარაკოთ გაიმარჯვა მტრის ქვეითა ჯარზე, რომელსაც გამაგრებული ადგილი ეკავა. ჩვენი ცხენოსნები მდ. ონუტის ხეობაში ჩაეშვენ. ავსტრიელებმა მიატოვეს სოფ. ბალამუტოვკა, რჟავენცი და გრემეშტი და მდ. ონუტის იქით დაიხიეს. აქ ტყვეთ წამოიყვანეს 2000 კაცზე მეტი, ბატარეია, ტყვიისმტყორცნელები და რამდენიმე პროჟექტორი.

**მიტავის რაიონის უკან დაბრუნება.**

**რიგა.** 30 აპრილი. მიტავის რაიონი გაწმენდილია მტრისაგან. მიტავა-მურავიოვის გზაზე მიმოსვლა აღადგინეს. მტრის აურაცხელი სურსათი გაატარეს. ჩამოიყვანეს ტყვები, მათ შორის ულანები და დრაგუნები.

**პეტროგრადი.** 30 აპრილი. მთავარ სარდლის შტაბისაგან. 28 აპრილს მტერმა დიდის ძალებით შამოგვიტია შავლის რაიონში და სურდა გზის უკან დაბრუნება. ჩვენ იერიშები მოვიგერიეთ და მეორე დღეს დავამარცხეთ გერმანელთა შემომვლელი კოლონა. ტყვეთ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასი კაცი და ხუთი ზარბაზანი. ბრძოლა გრძელდება. დასავლეთ გალიციაში 28 და 29 აპრ. ბრძოლა შენელდა. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი წინსვლა გრძელდება. მტრის ცენტრი დნესტრთან უკან იხევს ობერტინ-გოროდენკასკენ. უკან დახევის უზრუნველსაყოფათ მტერს უშედეგოთ მოქონდა კონტრ-იერიშები და ხოზიმირჟთან ჩვენ დავამარცხეთ ავსტრიელთა რაზმი. ჩვენმა არტილერიამ სრულიად მოსპო მტრის ორი ბატალიონი და ერთი ბატალიონი კი დაგვნებდა. გოროდენკასთან მტერი შეირყა და უკან დაიხია. ჩვენ რამდენიმე ათასი ტყვე წამოვიყვანეთ და 50 ყუთი ხელთ-ვიგდეთ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**გერმანიის ჰაეროპლანების მოქმედება.**

**პარიზი.** 28 აპრილი. საღამოს 8 საათზე მტრის დირიჟაბლი გამოჩნდა კაპიენ დამერტენის თავზე. პარიზში მიღებული იქნა ფიცხელი ზომები და პანიკა არ მომხდარა.

**ბრძოლა ჩრდილო ზღვაში.**

**ლონდონი.** 28 აპრილი. გერმანიის მთავრობა უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით ხმას ავრცელებს, თითქოს აპრილის დამდეგს ჩრდილო ზღვაში დიდი ბრძოლა მომხდარიყოს, 50 ინგლისის გემებიდან „სუპერი“ დაღუპული უნდა იყოს, „ბუორიო“ უიმედო მდგომარეობაში იყოს, „მაიონმა“ და სხვა გემებმა კი დიდი ზიანი ნახეს. ამავე ცნობით, გერმანიის ფლოტს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია, გამოდის თითქოს ბრიტანიის გემები ერთი მეორეს ებრძოდენ. საადმირალო იუწყება, რომ ამ ცნობაში ერთი სიტყვაც არ შეიცავს სიმართლეს. ეს ცნობა გავრცელებულია ნეიტრალურ ქვეყნებზე შთაბეჭდილების მოსახდენათ.

**ბრძოლა ბელგიაში, სოფ. კარანსის აღება.**

**პარიზი.** 28 აპრილი. ბელგიაში, სენჯორჯთან, მტერმა იერიში მოიტანა იმ ადგილებზე, რომელიც ჩვენ სამის დღის წინათ დავიკავეთ, მაგრამ ჩვენ იერიშები მოვიგერიეთ. არასის ჩრდილოეთით ჩვენ წინ მივიწევთ. ოშაბათ საღამოს ჩვენ ავიღეთ ჯერ სასაფლაო და მერე სოფ. კარანსის ნაწილი, აგრეთვე გზა კარანსიდან სუშეში. კარანსში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 230 კაცი, მათ შორის სამი აფიცერი და რამდენიმე ტყვიის მტყორცნელი. ჩვენ დავიკავეთ კარანსი. მტერმა ვერსად ვერ შესძლო ჩვენზე გამარჯვება. ჩვენ მოვიგერიეთ ოთხი იერიში. ორშაბათს მტერმა დიდი ზარალი ნახა ლოოსთან, ნოტრ-დამ-დელორეტთან, სუშენოვილთან და სენვაასტთან. აქ ჩვენ წინ წავიწიეთ, ტყვეთ წამოვიყვანეთ 100. ტყვეთ წამოყვანილ აფიცერთა რიცხვი 50-ს უდრის. დანარჩენ ფრონტზე ლოოსიდან არასამდე მტერს იერიში არ მოუტანია. როგორც ვაუწყებდით, მტერმა თერთმეტჯერ ესროლა დიუნკირკს. მოკლულია 12, დაჭრილია 11. ჩვენმა ბატარეიამ უპასუხა და მტერი ჩააჩუმა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**ჰაეროპლანები მობეჟზე.**

**პარიზი.** 28 აპრილი. ჩვენმა ჰაეროპლანებმა იერიში მიიტანეს მობეჟის ჰანგარებზე. გაჩნდა ცეცხლი. მტრის ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა ბუსამის სადგურზე. მეორე ჰაეროპლანს ჩვენი ჰაეროპლანი დაედევნა. მტრის ჰაეროპლანი ჩამოეშვა გერმანელთა ბანაკში და იქ დაიწვა.

ინგლისელ-გერმანელთა ჰაეროპლანების ბრძოლა.

**პარიზი.** 28 აპრილი. გერმანელებმა ჩამოაგდეს ინგლისელთა ერთი ჰაეროპლანი, ინგლისელებმა კი ორი გერმანიის ჰაეროპლანი.

**ბრძოლა იზერის მარჯვენა ნაპირზე.**

**პარიზი.** 29 აპრილი. დიქსმიუდეს ჩრდილოეთით, იზერის მარჯვენა ნაპირზე გერმანიის სამმა ბატალიონმა სასტიკი იერიში მიიტანა ბელგიის ჯარის წინააღმდეგ. ბელგიელებმა იერიში მოიტანეს და ტყვეთ 50 წამოიყვანეს. ბელგიის მეორე დივიზიამ წინ წაიწია დიქსმიუდეს სამხრეთით. იპრის აღმოსავლეთით გერმანელებმა იერიში მოიტანეს ინგლისელთა ბანაკზე და თან მახრჩობელა გაზს ხმარობდენ. ინგლისელებმა იხმარეს ახლად მოგონილი პირბადეები და ამით გაზებს ძალა დაუკარგეს. შემდეგ ტყვიის მტყორცნელთა ცეცხლით მოსპეს გერმანელთა მჭიდრო კოლონები. არასის ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლები ჩვენ სასარგებლოთ დაბოლოვდა. ლოოსის წინ ჩვენ ავიღეთ გერმანელთა დიდი სიმაგრე და სანგართა მთელი სისტემა, რომელიც ლოოსვერმელის გზას სჭრის. სამხრეთით ჩვენ ავიღეთ ერთი სიმაგრე და ნოტრდამდელორეტის ნიში. ამ პოზიციას გერმანელები რამდენიმე თვის განმავლობაში თავგანწირვით იცავდენ და ნამდვილ ციხეთ ქონდათ გაკეთებული. აქ ჩვენ განუწყვეტლივ წინ მივიწევთ. ნორტდამის ნიშის, ბლენის და ნაზერს შუა მტრის ყველა სანგრები ნიშის სამხრეთით ჩვენ ხელთ არის. მტერს იერიშის მოტანა სურდა ბლენიდან, მაგრამ მაშინვე შევაჩერეთ. ჩვენ წინ წავიწიეთ სუშის შაქრის ქარხნისკენ. კარანსთან ჩვენ რგოლს ვარტყამდით გერმანელთა პოზიციებს და რამდენიმე სახლი დავიჭირეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 50 კაცი და ერთი აფიცერი. ჩვენ წინ წავიწიეთ აღმოსავლეთით ტყისკენ. კარანს და ბლენს შუა მიმოსვლა სუშეთი მტრისთვის სახიფათო შეიქნა. ჩვენ დავიჭირეთ სასაფლაო ნევილ-სენვაასტთან და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ. მთელ ლოოს-არასის ფრონტზე სადაც ჩვენ კვირას მტრის სანგრების სამი პირი დავიკავეთ, ბრძოლა სწარმოებს სანგრების მეოთხე პირთან. ტყვეების ცნობით, გერმანელებმა ბრძანება გასცეს ყოველი ღონით შეენარჩუნებიათ ნიში და ნოტრდამდელორეტის სიმაგრე. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**დარდანელი.**

**პარიზი.** 29 აპრილი. გალიპოლის ნახევარ კუნძულის ნაწილში ფრანგებმა ფლოტის დახმარებით იერიში მიიტანეს ოსმალოთა პოზიციებზე, ჩვენმა ჯარმა სანგრების რამდენიმე პირი დაიკავეს, 26 აპრილს კრიტიის მაღლობებთან გამაგრდენ. ოსმალოებს იერიში არ მოუტანიათ.

**ლონდონი.** 29 აპრილი. ლორდთა პალატაში ლორდ-კრიუ ცნობებს იძლევა დარდანელში მოქმედების შესახებ. 19-ს ოსმალებმა მთელ ფრონტზე იერიში მოიტანეს. ბრძოლა გაგრძელდა საღამოს რვა საათიდან შუაღამემდი. იერიში მოვიგერიეთ. ჩვენ საგრძნობი ზარალი ვნახეთ, მაგრამ მტერსაც აურაცხელი ზარალი მივაყენეთ. მტრის ჯარი პროჟექტორების სხივებ ქვეშ მოყვა და როცა სანგრებისკენ წინ იწევდენ, ფრანგებმა 72 კალიბრიანი იარაღები დაუშინეს. ამის გამო დიდი ზიანი ნახეს. მომავალ ღამეს 23 აპრილამდი ოსმალოთა იერიშებს ვიგერიებდით. ამ ხნის განმავლობაში მოკავშირეებმა თავიანთი პოზიციები გაამაგრეს. მოვიდა ახალი მაშველი ჯარიც. ოსმალოთა დანაკლისი ძლიერ დიდია. ფრანგებმა მარცხენა ფლანგზე საყურადღებო ადგილი დაიკავეს. ავსტრალიელები და ახალ-ზელანდიელებიც მონაწილეობას იღებდენ და თავისი მოვალეობა პირნათლათ შეასრულეს; ყველა მოქმედებას ფლოტიც ხელს უწყობდა.

**ლონდონი.** 29 აპ. ფრენჩის ცნობაა მტერმა იერიში მოიტანა იპრის აღმოსავლეთით და მახრჩობელა გაზს ხმარობდა იერიში მოვიგერიეთ და შრაპნელის ცეცხლით მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ.

**ინგლისის გემების დაღუპვა.**

**ლონდონი.** 30 აპრილი. 18 აპრილს გერმანელთა ორმა ნაღმოსანმა იერიში მოიტანეს ინგლისელთა გემებზე: ნაღმოსნებზე „კოლუმბია“, „მიურა“ და „ჩერზიტზე“. მეოთხედი საათის ბრძოლის შემდეგ ნაღმოსნები გაიქცენ. მათ მოასწრეს კოლუმბიის დაღუპვა. დაიღუპა 16 აფიცერი. კომანდიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. ინგლისის კონტრ ნაღმოსნები უკან დაედევნენ გერმანელთა ნაღმოსნებს და ჩასძირეს ყველა გემები, რომელიც ბრძოლაში მონაწილეობდენ. ამ ბრძოლაში მონაწილე გემები დამხმარე გემები იყვენ. ბარბადოსას უფროსი დაჭრილია.

**ლონდონი.** 28 აპრილი. საადმირალო იუწყება, ოსმალეთის ოფიციალური ცნობით ოსმალოთა გემებმა ჩასძირეს ინგლისის წყალქვეშა ნავი, რომელსაც მარმარილოს ზღვაში უნდოდა. გასვლა საადმირალოს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსვლია.

**პარიზი.** 29 აპრილი არასის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლაა, 28 და 29 მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა და რამოდენიმე იერიში მოიტანა უშედეგოთ, ნევილი სენვაასტთან მტერმა დიდი ზარალი ნახა. სასაფლაოზე დავითვალეთ 200 მდე მოკლული. ტყვეთ წამოვიყვანეთ 100. მეორე იერიში კარანსისთან მოვიგერიეთ. მესამე იერიში აბლენიდან აგრეთვე უშედეგო იყო. 29 დილით ჩვენ წინ წავიწიეთ ტყეში კარანსის აღმოსავლეთით, ტყვეთ წამოვიყვანეთ 125. ნაშუადღევს ჩვენ დავიჭირეთ სანგრების სამი რიგი ტყეში კარანსის ჩრდილოეთით, ნაშუადღევსვე ჩვენ იერიში მივიტანეთ ნევილ-სენვაასტის ნაწილზე, ჩვენ დავიკავეთ რამდენიმე სახლი. ჩვენ წინ მივიწევთ. ტყვეთ წამოყვანილთა რიცხვი 4000 უდრის. დანარჩენ ფრონტზე ბერიობაკთან ბოსეჟურთან, მარიტერეზისთან და ბაგატელთან ჩვენ შევაჩერეთ მტრის იერიშები.

**კეპტოუნი.** 30 აპრილი. ვინჯუკში ვიხელთეთ მრავალი ვაგონები და სურსათი. დაპყრობილ ტერიტორიაზე შამოღებულია სამხედრო წესები.

**პარიზი.** 36 აპრილი. სოფ. ნევილის სამხრეთით ჩვენ საგრძნობათ წინ წავიწიეთ ლეპრეტრის ტყეში საღამოს ჩვენ დავიკავეთ მტრის სანგრების ახალი რიგი.

**იტალია.**

**რომი.** 29 აპრილი. ჯიოლიტის ორგანოს „სტამპას“ სიტყვით ავსტრია უთმობს იტალიას ტრიენტს, მდ. იზონცოს ხაზს გორიცამდი, ორ კუნძულს, დალმაციას, ტრიესტს ავტონომია მიენიჭება და მცხოვრებნი სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლებული იქნებიან, იტალია თავისუფლათ იმოქმედებს ალბანიაში და ვალონას დაუთმობენ.

# ე რ ა ტ ა.

(მოთხრობა *)

**ძღვნათ შალვა დადიანს.**

III

— მხოლოდ ქორწინების მესამე დღეს მოვედი გონს და ჩავუკვირდი ჩემს საქციელს... ეს რა ჰქენ? ვეკითხებოდი ჩემს თავს; რა ჩაიდინე? განა ამით სხვას მაინც მიანიჭებ ბედნიერებას? ამ ფიქრით გარემოცული აუწერელმა სევდამ შემიპყრო. მუშაობაზე გული აშიცრუვდა. დილით შევიდოდი სახელოსნოში, მიმოვავლებდი თვალს და გაბრუებული, გულმოკლული ისევ ვბრუნდები. გულში ჯოჯოხეთური ცეცხლი გიზგიზებდა და ეს ცეცხლი სხვა ცეცხლს თხოულობდა. მივყე ხელი ლოთობას. აბა, მე და ღვინო! დილით გამოვიდოდი სახლიდან, შუაღამისას ვბრუნდებოდი უგრძნობლათ მთვრალი... ამ ყოფაში გავატარე მთელი თვე. ამ ხნის განმავლობაში ელენეს ერთი სიტყვა საყვედურისა არ წამოსცდენია. სახეზედაც კი არ ემჩნეოდა რაიმე ყვედრება ჩემდამი. პირიქით მისი სახე, თვალები გამოხატავდენ ჩემდამი სიბრალულს, სინანულს, სასოწარკვეთილებას... ხშირად შემიმჩნევია ხოლმე დილით გამოღვიძებულს, ელენე ჩემი საწოლის წინ იჯდა და ჩუმათ სტიროდა. ეს უფრო მაბრაზებდა და ცეცხლს მიკიდებდა.

ერთ დღეს სწორედ ამ ყოფაში მოვასწარ. მძინარემ რაღაც სისველე ვიგრძენ ხელზე. გამომეღვიძა. ელენე იჯდა ჩემი საწოლის წინ, ეძლო ჩემი ხელი, ჰკოცნიდა და თან სტიროდა. სიბრალულით გული მომეკუმშა, მაგრამ სიბრალული სძლია სიბრაზემ და მკვახეთ შევძახე: ჯერ ხომ არ მომკვდარვარ,—რაღა გატირებს-მეთქი. ხმა ამოუღებლივ შემომხედა. მე ვერ გავუძელ მის თვალებს და სახე კედლისკენ მივიბრუნე. ელენემ დაჩოქა, ჩემი ხელი მიიკრა ცივ ტუჩებზე და ტკბილის, ვედრების კილოთი მითხრა:

— ლადო, რათ სჩადი ამას? რათ იხშობ ნიჭს? მთელი თვეა ხელში კალამი არ აგიღია... საზოგადოება შენგან რაღაცას დიდს მოელის, შენ-კი ღვინოში იხრჩობი. . მე ვარ დამნაშავე, გიშლი?.. წავალ! ერთ წუთსაც აღარ შევაწუხებ ჩემის აქ ყოფნით, ოღონ შენს საქმეს დაუბრუნდი!..

ასე მგონია სიკვდილშიაც კი მეხსომება ეს წრფელი და გულის სიღრმიდან ამონაკვნესი სიტყვები მეთქი.

გამოვფხიზლდი. ჩემი თავი შემეზიზღა. ვიგრძენ დანაშაული ჩემი საყვარელი საქმისადმი, საზოგადოებისადმი, ჩემი მოვალეობისადმი.

ელენე?

ელენესადმი მხოლოდ სირცხვილი მაწუხებდა.

დავიწყე მუშაობა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში ჩავარდი. ჩავიკეტე სახლში და გარეთ აღარ გამოვდიოდი.

მაგრამ დაკარგული ერთი თვე ძვირად დამიჯდა.

დიდი დრო და შრომა დამჭირდა, რომ ისევ ჩემს ძველ კალაპოტში ჩავმდგარიყავ.

იდეა გაჰქრა, სურვილი მოკვდა, ენერგია მოდუნდა, აზრი დაიხშო. ერთი სიტყვით. პირველ ხანებში მე ვიყავ ცოცხალი ლეში, მაგრამ ელენეს მზრუნველობამ გამომაბრუნა, მომარჩინა. ფეხზე დამაყენა სასიკვდილოთ გადადებული ავათმყოფი.

ბოლოს სრულიად განვიკურნე და დავიწყე ნორმალური მუშაობა.

ვერ წარმოიდგენ, მეგობარო, ელენე რა ნაირად მივლიდა, როგორ თავს მევლებოდა!.. სახლიდან კარზე არ გამოდიოდა.

თუ რამ საყიდელი გაუჩნდებოდა, მაშინ თუ წავიდოდა ბაზარში, და მორჩებოდა თუ არა საქმეს,—სახლში, ჩემკენ გამორბოდა. თვალებში შემომცქეროდა. სულ იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, მე ვყოფილიყავ ყველაფერით კმაყოფილი, არაფერი დამკლებოდა, რომ ჩემს მუშაობაზე გავლენა არა ჰქონიყო.

ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ, რა თქმა უნდა, მაგრამ მუდამ იმასა ცდილობდა, ეს გაჭირვება მე არ მეგრძნო. ხშირად! თავისი ტანისამოსი გაუყიდნია და სანოვაგე უყიდნია. . „ლადოს არ მოშივდეს, ლადოს არაფერი მოაკლდეს და ყველაფერი თავის დროზე ჰქონდეს“. ეს იყო მისი ფიქრი, მისი საზრუნავი. ის იყო ჩემთვის ძმა, დედა! მაგრამ, არა! დედაზე მეტიც! დედა თავის სიყვარულს ქმარსა და შვილებ შორის თანასწორად ანაწილებს. ელენეს-კი ამ ქვეყნად მხოლოდ მე ვყავდი...

ხშირად მისი ქცევა მარცხვენდა, მაწითლებდა ხოლმე. იგი როგორღაც სრულიად დაემორჩილა ჩემს სურვილებს, ზნე-ჩვეულებას, ჩემს უხიაკობასაც-კი. . დამემონავა იმდენად, რომ მასში ადამიანური თავმოყვარეობისა აღარაფერი დარჩა. იცოდა, რომ ხმაურობა მწინდა. ერთხელ და სამუდამოთ აღიკვეთა ქუსლებით სიარული,—ფეხის ცერებით დადიოდა. ბოლოს ისე გაიმსჭვალა მორიდებით, რომ ეს ჩვეულება ქუჩაშიაც-კი გადიტანა და იქაც ისე დადიოდა.

მის ფიქრსა და ზრუნვას ჩემზე დრო და საზღვარი არა ჰქონდა. და სწორედ ამაში იყო მთელი ჩემი სულიერი ტრაგედია.

ხშირად, როდესაც სახელოსნოში ვიჯექ მუშაობით გატაცებული, როცა მივახწევდი ჩემი შემოქმედების უმწვერვალეს წერტილს, სწორედ მაშინ შემოიპარებოდა ფეხის ცერებზე და ფრთხილად, ძლივ გასაგონათ ყურში ჩამჩურჩულებდა: „დღეს რომელი წვნიანი გაგიკეთო, რა უფრო გიამება?“

ამ დროს ჩემი მუზა ჰქრებოდა, ყალამი ხელიდან მივარდებოდა და ოხვრა სიბრალულისა, სიბრაზესთან შეზავებული გულიდან ამოვარდებოდა.

ამ ყოფაში განვლო რამდენიმე წელიწადმა. ვმუშაობდი, მაგრამ ამ მუშაობით არა ვცოცხლობდი, ვხატავდი, მაგრამ ვერა ვქმნიდი.

ჩემს სურათებს აკლდა სინათლე, ჩემს გმირებს—სიცოცხლე. აკლდათ ცეცხლი! ის ცეცხლი, რომლითაც მე თითონ ვიწოდი და ტილოზე-კი ვერ გადამეტანა.

ერთი სიტყვით, მე ვატყობდი, რომ არ ვიყავ მხატვარი, არამედ ვიყავ უბრალო ხელოსანი, რომელიც უბრალო სურათიდან ასლს გადიღებს და ხშირად იმასაც დაამახინჯებს ხოლმე“.

ლადო დაიღალა, თვალები მილულა.

მე ეს შევატყე და წასასვლელად მოვემზადე.

— „ხვალ მოგელი, მეგობარო! მითხრა მან და ხელი გამომიწოდა.

— უსათუოთ! ნახვამდის! .

**ვალ. შალიკაშვილი.**

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „სამშობლო“ № 69.

### ბრძოლა სერბიაში.

**ცეტინიე.** 30 აპრილი. უკანასკნელ დღეებში ავსტრიელთა მოქმედებას გაცხოველება ეტყობა. ბოსნიის გზით, დრინის მარცხენა ფრონტზე მტერმა სიმაგრეები ააშენა, მაგრამ ჩვენ ხელი შევუშალეთ. მტერი უშედეგოთ ცდილობდა ჩვენი პოზიციების დაზიანებას.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### გერმანელთა ჯარის რიცხვი.

გერმანელთა ჯარში 75 კორპუსია. თითო კორპუსში სამოცი ათასი კაცია, რაც ოთხ-ნახევარ მილიონს უდრის. ამ ჯარიდან 45 კორპუსი მოქმედობს ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის წინააღმდეგ, 30 კორპუსი კი რუსეთს ეომება. რუსეთის მოწინააღმდეგე ჯარი განაწილებულია ასე: ათი კორპუსი იმყოფება კარპატების მთებში და ბუკოვინაში, ხოლო 20 კორპუსი პოლონეთში და აღმოსავლეთ პრუსიაში. გარდა 75 კორპუსისა გერმანიას ყავს ახლად გაწვეულ ჯარის კაცებისაგან შემდგარი 8 კორპუსი, რომლის მოქმედება ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. მიუხედავად ასეთი დიდი ჯარებისა გერმანია დღითი-დღე ჯარის რიცხვს ამრავლებს. გუმენიბის რაიონში ამ თვის განმავლობაში დაიწყო მოქმედება ახალმა არმიამ, რომელსაც „ბესკიდის არმია" ეწოდება. ამ არმიას ხელმძღვანელობს გენერალი ფონ-დერმარვიცი.

### ვილჰელმის გამგზავრება.

გერმანიის მეფე ვილჰელმი ჩრდილო-აღმოსავლეთის ბრძოლის ველზე გაემგზავრა.

### გერმანელები პოლონეთში

გერმანელებმა პოლონეთში სკერნევიცის მაზრის მცხოვრებლები გაამძევს და მთელს მაზრებში ტრანშეებისა და ციხე-სიმაგრეების აგება დაიწყეს.

### ბელგიის კონტრიბუცია.

ჰოლანდიის გაზეთის სიტყვით, ბრიუსელის გერენალურ საზოგადოებამ გერმანიის მთავრობიდან ოფიციალური ქაღალდი მიიღო კონტრიბუციის დაჩქარებით გადახდის შესახებ. ამავე დროს გერმანია მოთხოვს კონტრიბუციის გადახდას მხოლოდ საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის ოქრო და ვერცხლის ფულით. თავის ფულს კი არ ღებულობს.

### დარდანელის გარშემო.

გაზეთ „ენოს"-ის სიტყვით, სამთაკავშირის პირველ ესკადრას მეორე ესკადრაც შეუერთდა. ამ უკანასკნელს დიდი ტრანსპორტი ახლავს, მოკავშირეთა უმთავრესი ყურადღება ნაგარის ფორტისკენ არის მიქცეული.

### ენვერ-ფაშა მომქმედ ჯარში.

გალიპოლის ნახევარ-კუნძულზე სასტიკი ომი სწარმოებს. 24 აპრილს ენვერ-ფაშა გერმანელ აფიცრების თანხლებით ამ ბრძოლის ველზე გაემგზავრა.

### „გებენი" იალტასთან.

26 აპრილს, ადრე დილით, იალტას ახლო ჩაუარა ოსმალეთის კრეისერმა „გებენმა".

### რუმინია ემზადება.

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ რუმინია ავსტრიის წინააღმდეგ მოქმედებას უსათუოდ მაისში დაიწყებსო. როგორც სჩანს, რუმინიამაც დაარღვია ნეიტრალიტეტი.

### იტალიის საკითხი.

ჯერ-ჯერობით იტალიის შესახებ გადაწყვეტით არაფრის თქმა არ შეიძლება, როგორც გაზეთები იტყობინებიან, ამ ერთი კვირის განმავლობაში საბოლოოდ გადაწყდება იტალიის საკითხი. ხოლო იმ აზრების მიხედვით, რომელიც უკვე გამოითქვა იტალიის და გერმანიის მაღალ წრეებში,—იტალია სამთა კავშირს მიემხრობა. გერმანიის ყველა დაწესებულებები იტალიაში უკვე დაიხურა და გერმანია-ავსტრიის წარმომადგენლებმაც დასცალეს რომი. ელჩი-კი ჯერჯერობით რომში იმყოფება.

მეორე მხრით ავსტრია და გერმანია ყოველგვარ ზომებს ხმარობენ, რომ იტალია ომში არ ჩაებას. ოთხშაბათს ბერლინში მეფე ვილჰელმის თანდასწრებით დიდი თათბირი მოხდა ამ საკითხის შესახებ.

## რუსეთის ქრონიკა.

### ართვინის გარშემო.

25 აპრილს ლამაშოვსკის ზეთისხილის სანერგეში გაიხსნა საერობო კავშირის საავადმყოფო 50 საწოლით. ამ დღეებში არდანუჯშიც გაიხსნება ასეთი საავადმყოფო. ართვინში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა: მთავრობის დაწესებულებებმა მოქმედება დაიწყო და ვაჭრობაც გაჩაღდა. საზოგადოების სხვა და სხვა დროებითი ორგანიზაციები მხნედ მუშაობენ: მათ გამონახეს გამოქვაბულებში ბერტისა, ონიზისა, და პორტის სოფლის მცხოვრებნი 500 სულამდის და თავიანთ სახლკარში დააყენეს.

### სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევნები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა გუბერნატორებს წინადადებით მიმართა ამა წლის 1 აგვისტოს შემდეგ ნება დართოს საგუბერნიო კომისიებს სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ მოქმედებისა.

### ჩრდილონაპირის რკინის გზა.

სევასტოპოლის ქალაქის თვითმართველობამ ამ დღეებში ცნობა მიიღო, რომ სევასტოპოლ-იალტის რკინის გზის მუშაობა ივნისში დაიწყებაო.

### ლიბავას დაპყრობა.

„ვესტნიკ ლიბავი"-ს 17 აპრილის ნუმერის სიტყვით, მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქი ზღვის პირიდან ძლიერ გამაგრებული იყო, გერმანელების ყუმბარებმა დიდი ზარალი მიაყენა ქალაქსა და ახლო მდებარე სოფლებს.

### კონსტანტინეპოლთან.

ბოსფორზე სამხედრო გემებისა და კანდლების ცეცხლები ჩააქრეს, რათა ინგლისელ წყალქვეშა ნავებს საშუალება არ მიეცეთ სრუტეში შემოპარვისა.

## ომი და სტამბოლი.

(დასასრული. იხ. „სამშობლო" № 69.)

რას ფიქრობს დღეს ამ ბრძოლაზე თვითონ ოსმალეთი, ანუ „რას სწერენ" სტამბოლელები?

ამის პასუხს რამდენიმეთ რუსის ერთი სტამბოლელი კორესპონდენტი იძლევა.

ამ კორესპონდენტის გადმოცემით სტამბოლის გაზეთები რუსეთს „საუკუნო მტერს" უწოდებენ და მის პოლიტიკას ასე ახასიათებენ: „რუსეთი ჩვენთან დამოკიდებულობაში პეტრე დიდისგან ნაანდერძევი ტრადიციული პოლიტიკით ხელმძღვანელობს: ის მუდამ მსოფლიოზე გაბატონებას ოცნებობდა და მუდამ „პეტრე დიდის ანდერძის" სისრულეში მოყვანას ცდილობს. მისი ფიქრით, ჯერ მას კონსტანტინეპოლი უნდა ხელში ჩაიგდოს, ოსმალეთი დაანაწილოს და მერე სპარსეთის გზით ინდოეთისაკენ გასწიოს.

მაგრამ ვიდრე ოსმალეთს დამოუკიდებლობა შერჩენია, იგი იხსნის ქვეყანას „მოსკოველების დაპყრობისაგან" იმ „მოსკოველებისგან", რომლებიც „თავისუფლების მტრათ არიან აღიარებულნი".

ოსმალეთი თავის მფარველ სახელმწიფოს, გერმანის რჩევას და ტაქტიკას მიჰყვება. აზიის ხალხთა ცხოვრებაში სარწმუნოებას, რელიგიას ჯერ ისევ დიდი ალაგი უჭირავს და ამიტომაც ხალიფის ავტორიტეტს და მის მიერ „სამღვთო ომის გამოცხადებას" დიდი გავლენა აქვს. გერმანიამ, რა თქმა უნდა, ამ სახალხო ლოზუნგის გატარება საჭიროთ დაინახა და ამიტომაც დღეს სტამბოლის პრესა გაიძახის: „გაუმარჯოს ხალიფას, გაუმარჯოს ისლამის მოკავშირეებს: გერმანიას და ავსტრო-ჰუნგრეთსო!

ამნაირათ, ოსმალური გაზეთები გერმანულ თვალსაზრისით უყურებენ დღევანდელ ომს და მის მსვლელობასაც ამ თვალსაზრისის თანახმათ აფასებენ.

ხსენებული პრესის (ზოგჯერ უნებურ) აღიარებით ოსმალეთ რუსეთის ომი სტამბოლში თურმე ჯერ ისევ აგვისტოში იყო გადაწყვეტილი. ამ ჟამათ მაინც რუსეთის გეგმა სულ უნდა ჩაიფუშოსო, სწერენ გაზეთები; და ეს, მათი აზრით, მით უფრო უნდა მოხდეს, რომ რუსეთში ახლა მღელვარება უკვე დაიწყო, რაც ვითომ 1905 წელს გვაგონებს. რუსეთში ახლა ყველგან „ჰერა და ჩხრეკაა".

პეტროგრადში მაგალითათ დაატუსაღეს „თავრიდის სასახლის პოლიცმეისტერი", პოდპოლკოვნიკი მიასოედოვი და გაზეთ „რეჩის" რედაქტორი ივანოვიო".

რაც შეეხება „ბრძოლის ველიდან მოსულ ამბებს", ამ მხრით სტამბოლის გაზეთებიც ჩვეულებრივ „რელიაციონურ" ტაქტიკას ადგანან: აზვიადებენ თავის ჯარის „გამარჯვებას", ხოლო დამარცხებას აფუჩეჩებენ; გამარჯვებაზე ბევრს სწერენ, ხოლო დამარცხებას არ ამხელენ, „ყურს იყრუებენ". ეს ყველა მეომარ სახელმწიფოთა ჩვეულებრივი ტაქტიკა თავ-თავიანთ ხალხის გულის მოსაგებათ და გასამხნევებლათ; ამავე ტაქტიკას ადგია ოსმალეთის მთავრობაც; ამავე ტაქტიკას უწყობს ხელს სტამბოლის პრესაც: სწორეთ ისე,—როგორც სხვა ქვეყნების პრესა.

საგარეო პოლიტიკის ცენტრალური პუნქტი ოსმალური პრესისათვის ბალკანეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა იყო.

ამ პოლიტიკის მიხედვით პრესა ეხება დარდანელის წინააღმდეგ ბრძოლას და ამასთან დაკავშირებულ ბალკანეთის სახელმწიფოების ტაქტიკას.

„დარდანელზე ზარბაზნების დაშენამ, სწერენ გაზეთები, უნდა საბოლოოდ გამოარკვიოს ბალკანეთის სახელმწიფოთა პოზიცია.

ინგლის-საფრანგეთის ესკადრამ რომ შეიძლოს, ღმერთმა კი დაგვიფაროს, და გაარღვიოს დარდანელის სრუტე და მარმალილოს ზღვაში გავიდეს, ამას ბალკანეთის პოლიტიკურათ და ეკონომიურათ სლავიანებისგან დამოკიდებულება მოყვებოდა.

სრუტეები კი არსებითად საყოველთაო სამკვიდრებელია; და ამნაირათ ოსმალეთის ხელში მათი დატოვება ბულგარეთისა და რუმინიისთვისაც ერთგვარათ საინტერესოა. დარდანელის დაცვით ოსმალეთი ამ სახით არა მარტო თავის დამოუკიდებლობას და ინტერესს იცავს, არამედ ამასთანავე ბულგარეთისა და რუმინიის სასარგებლო საქმესაც აკეთებს. თუ „სამთა შეთანხმების" დიპლომატიური ხრიკები კიდევ გაგრძელდა, მაშინ ბულგარეთი მათ ზურგს უჩვენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბულგარეთი თავის თავს ორმოს გაუთხრიდა. მართალია, მხოლოდ ის, სწერს ერთი გაზეთი, რომ ბულგარიისა და რუმინიისთვის ჯერ კიდევ არ დამდგარა მომენტი, რომ ოსმალეთთან ერთად გამოვიდენ. ისინი ჯერ კიდევ ნეიტრალიტეტს დაიცავენო".

ასე ფიქრობს და ბჭობს ოსმალური პრესა და მასთან ერთად ოსმალეთის დღევანდელი მთავრობაც.

როგორც ხედავთ, ამ „განუკურნებელ სნეულს" ჯერ კიდევ „გული საგულესა" აქვს გერმანიის ჩაგონებითა და წყალობით. ის მედგრათ იცავს თავის ძველისძველს დედა ქალაქს—„სტამბულს" და სულაც არ ფიქრობს ამ გზით ინგლისის ძველს და რუსეთის ნორჩ კაპიტალიზმს კარი გაუღოს!

**დ—ელი.**

## ახალი ამბავი.

ხვალინდელ ჩვენი გაზეთის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება სურათები: 1) შიო მღვიმელისა, მისი სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო, 2) ქართველების ლაზარეთი მოსკოვში და 3) ჯარისკაცი მახარაძე.

1) რამდენიმე ლექსი შ. მღვიმელისა. 2) მოთხრობები. ჩემებური. შალვა დადიანისა და 3) „სალდათის დედა". სამ. ყიფიანისა (დასასრული).

✦ გუშინ, 1 მაის თამარ მეფის ხსენების დღეს, იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო გიორგის მიერ საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნა წირვა და პარაკლისი. პარაკლისის წინად სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა დოლაბერიძემ თამარის ღვაწლისა და მნიშვნელობის შესახებ.

ამ სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ქუთაისში უკვე დაარსდა „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების" განყოფილება. თავჯდომარეთ დანიშნულია თავ. მელქისედეკ ფალავა, მის ამხანაგათ გიორგი ზდანოვიჩი, დროებით გამგეობის წევრებათ არიან: ილია ჩიქოვანი, ევგენი გეგეჭკორი, გრ. გიორგაძე, გრ. გველესიანი, იაკობ ცინცაძე და კანდიდატათ კიტა აბაშიძე.

6 ამ თვეს მოხდება საზოგადო კრება წევრებისა და გარეშე პირთა, რომელ კრებაზედაც წაკითხულ იქნება წესდება საზოგადოებისა და განმარტებულ იქნება ის მნიშვნელობა, რომელიც ამ საზოგადოებასა აქვს ქართველებისათვის.

ყოველგვარ საქველმოქმედო საქმის გარდა ამ საზოგადოების სადღეისო საზრუნავია დახმარება აღმოუჩინოს ომისაგან დაზარალებულ აჭარლებს.

საწევრო გადასახადი—2 მანათია. ყოველივე შემოწირულება აჭარლების სასარგებლოდ უნდა გაეგზავნოს საზოგადოების ხაზინადარს გრ. ივ. გველესიანს.

✦ ქალაქის გამგეობამ ქუთ. გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა, რათა ხაზინამ ქალაქს მისცეს 67000 მანეთი გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოს ასაგებათ.

✦ ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავად ი. დ. გელოვანს სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ მას მისცენ ქუთაისიდან წყალტუბომდის რკინისგზის გაყვანის კონცესია. თავ. ი. გელოვანი ამ დღეებში სხვა და სხვა საქმეების გამო პეტროგრადს მიემგზავრება.

✦ 15 მაისიდან 15 ივნისამდი სოფ. ბახვში (ოზურგეთის მაზრა) იქაურ ორკლასიან სკოლის მასწავლებლის ამბაკომგელაძის ხელმძღვანელობით გაიხსნება კალათების საწნავი კურსები, რამელზედაც იმუშავებს 20—30 კაცი ორივე სქესისა. სწავლება უფასოთ იქნება.

✦ 1 მაისის ღამეს ქუთაისში პოლიციამ გაჩხრიკა რამდენიმე ოჯახი. დაპატიმრებულია 6 ნოქარი.

✦ გვალ, 3 მაისს, ქართ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა თავის სახსარის გასაძლიერებლათ, გამართავს საჯარო სეირნობას.

✦ 30 აპრილს ქართ. მსახიობ. ამხანაგობის მიერ გამართულ საჯარო სეირნობას ქალაქის ბაღში საზოგადოება ცოტა დაესწრო. ბაღი კარგათ იყო მორთული

დრამატიული საზოგადოების გამგეობამ მომავალი კრებისათვის ანგარიშები უკვე შეადგინა. ამ დღეებში ამ ანგარიშებს განიხილავს სარევიზიო კომისიაც.

✦ ვაჭარ სტეფანე პეტრეს ძე ოცხელის გატაცების საქმის გამოძიებას შეუდგა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ. უსტინოვი. ბ. უსტინოვმა სტეფანე ოცხელს ჩვენება უკვე ჩამოართვა.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების" მორიგი (მეოთხე) ნუმერი: ჟურნალი ჩინებულათაა შედგენილი და შეიცავს ბევრ საყურადღებო წერილს.

✦ ქ. ელისაბედ ხოჯევანიშვილის ოთხ კლასიან პროგიმნაზიაში წლიური გამოცდები უკვე დასრულდა. სწავლა დამთავრებულთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა, კამერიუნკერმა პოტულოვმა განკარგულება გამოსცა, რომ ქუთაისის გუბერნიიდან საკლავი საქონლის გაყვანა სასტიკათ აკრძალულიაო.

✦ ხვალ, 3 მაისს, საღამოს 8 საათზე საურთიერთო ნდობის ბანკის დარბაზში შესდგება კომერციულ ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

✦ მაზრის ზედამხედველის თანაშემწემ პლატონ კორძაიამ პურის მეტ ფასებში გაყიდვისათვის ოქმები შეუდგინა მეფურნე იოსებ ფოფხაძეს, სერაპა ჩოროდვიანსა და ანესტი პავლიდის.

✦ ნინო ანტონის ასულმა ჯორჯიკიასამ გიორგი სვანიძის ობლების სასარგებლოთ შემოსწირა 3 მან.

### თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში ქართ. მსახიობთა ამხ. რეჟისორის კონ. ანდრონიკაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა შოთა დადიანისა „განწირულნი".

იმედია ქუთაისის სასოგადოება თავის დასწრებით დააფასებს ახალგაზდა რეჟისორის შრომას.

### ტფილისი.

ქ შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის კრება 28 აპრილს მოხდა. გამგეობამ დაადგინა: 1) მიეცეს 20 მ ნ. წიგნები ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას აჭარელთა შორის უფასოდ დასარიგებლათ, 2) მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა აჭარაში დაარსდეს ქართული სკოლა, დაინიშნოს მოსიარულე მასწავლებელნი, გაიგზავნონ მეურნეობის მცოდნე პირნი, თანახმად ც. წულაძის მოხსენებისა. 3) დაამტკიცოს სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ მეთვალყურის ინსტრუქცია. 4) [illegible] გამგეობის წევრად კანდიდატი [illegible] კვაძე ნაცვლად თფილისიდან [illegible] წასულ კ. ნინიძისა და მიანდოს მას საგამომცემლო სექციის თავჯდომარეობა და 5) მიეცეს მარტყოფის ბიბლიოთეკას 10 მან. წიგნები.

— თელავის მაზრის თავ-აზნ წინამძღოლ თავ. მ. ზ. ჭავჭავაძეს ბ. ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ყულაბებით ფული მოაგროვოს 30 აპრილს აჭარლების სასარგებლოდ.

— მაზრის უფროსი ფიცხელ ყურადღებას აქცევს, რომ თელავის ვაჭრებმა შაბიამანი მამასისხლათ არავინ გაყიდოს. ერთ მოვაჭრეს, რომელსაც უნდოდა ესარგებლა და ძვირათ გაეყიდნა, ჩამოართვა და 12 მ. 50 კაპ. დაუდო ნიხრი.

— თელავის მაზრაში კვლავ საძაგელი ამინდებია, ცივა კიდევ. ვაზი და ხეხილი ფუჭდება

## შიმშილობა და სახალხო მასწავლებელი.

საერთაშორისო ომმა ძირიან-ფესვიანად შეარყია ცხოვრების ჩვეულებრივი მსვლელობა. საშინელმა ომმა ყველაფერს თავისი დაღი დაასვა. ყველაფერი გაძვირდა. სანოვაგის ფასმა ერთი ორად და ერთი სამად იმატა; ფაბრიკა-ქარხნების მიერ დამზადებულ საქონელს ხომ ახლოსაც ვერ გაეკარება კაცი. ამ მოვლენამ უკიდურეს პირობებში ჩააყენა ისედაც უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი სახალხო მასწავლებელი!

მასწავლებელი ღებულობს თვეში ოცდარვა მანეთს და ერთს აბაზს, რაც პურისა და შაქრის ფასადაც არ ყოფნის მას. მშვიდობიანობის დროს, როცა შედარებით იაფობა იყო, ეს თანხა ვერ აკმაყოფილებდა მასწავლებლის მიუცილებელ საჭიროებათა მეოთხედსაც და დღეს ხომ პირდაპირ საშიშ მდგომარეობაში ჩავარდით. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სოფლის ჩარჩ-ბაცაცებთან, რომლებიც ულმობლოდ სარგებლობენ არსებული მომენტით და ერთ ორ ფასს გვახდევინებენ ყველაფერში. კოოპერატიული სავაჭროები ძალიან ცოტა გვაქვს და რაც არის, ისინიც მსხვერპლი ხდებიან ქალაქის ვაჭრებისა, რადგანაც, შეუკავშირებლობის გამო, საქონლის მოტანას შორიდან ვერ ახერხებენ, რაც მიზეზია საყოველთაო სიძვირისა.

ჩვენს პერიოდულ გამოცემებში შიმშილობის საკითხის გარკვევას დიდი ადგილი დაუთმეს და სოფლის მდგომარეობა, თუ სავსებით არა, რამოდენიმედ მაინც გამოიკვლიეს. ხალხს დახმარებას პირდებიან ბანკებიდან, ხაზინიდან, საზოგადოებებიდან და სხვა. მაგრამ ჩვენს შესახებ ამ მხრივ არავინ თავს არ იტკივებს, რადგანაც არ ფიქრობენ, თუ ჩვენც ერთი ნაწილი ვართ იმ დამშეული ხალხისა, რომლებსაც ყოველი მხრიდან დახმარებას პირდებიან. მართალია, დამნაშავე ჩვენ ვართ, რადგანაც ხმას არ ვიღებთ და იობის მოთმინებით ვუხვდებით ყოველივე გაჭირვებას, მაგრამ, როცა ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაში ვიმყოფებით და მშიერ მწყურვალი ვიხოცებით, ჩვენც უნდა დავაღწიოთ თავი ხანგრძლივ ძილს და მოვძებნოთ საზრდო. ვინ იცის, შეიძლება, ჩვენს გამოსვლას ყურადღება მიაქციონ და დახმარების ხელი გამოგვიწოდონ. შეიძლება, შიმშილმა განამტკიცოს ჩვენში ერთობა და უფრო მუყაითად მოვეკიდოთ პროფესიონალური კავშირის დაარსების საქმეს, რის უქონლობა დიდს ზარალს გვაყენებს ყოველთვის და მით უმეტეს ახლა, როცა კუჭის საკითხმა პირველი ადგილი დაიკავა სახალხო მასწავლებლის ცხოვრებაში.

**ნიკ. ქამუშაძე.**

## ღია წერილები.

უფრ. აგრონომს ბ. კ მ. ბერეკაშვილს.

20 აპრილიდან ზემო იმერეთის სოფლებში გინუწყვეტლივ თოვს, თოვლმა ნათესი ყანები და მამულები გაანადგურა; არავინ არის მომსწრე, რომ აპრილში ასე გამუდმებულათ ეთოვოს. რომ წელს ჩვენსკენ წვეთი ღვინო არავის მოუა, ამაში ყველა დარწმუნებულია, მხოლოდ რომ მომავლისათვის მამულები მთლად არ გაფუჭდეს,—ხალხი დღეს დიდს საგონებელშია ჩავარდნილი და ვერ გადაუწყვეტია, რომ ვაზების მოხვეულები ხელახლა გასხლან—დანეკონ, თუ წამხდარი ფოთოლ-ყლორტები შეაცალონ, ამისათვის მოგმართავთ და გთხოვთ პრესის საშუა-

ლებით რაც შეიძლება დაჩქარებით გვიპასუხოთ და მით მოგვცეთ რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოვიქცეთ.

**მღვ. გალ. აბესაძე.**

——

მარტვილის უმაღლეს პირველ-დაწყებითი სკოლის უფროსს ბ-ნ **ლაპარტყავას.**

უკვე მესამე წელიწადი თავდება, რაც თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებლის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი: თქვენს სასწავლებელში ქართულ ენას სრულიადაც არა აქვს ადგილი, რის გამო ხალხი და პრესა აღშფოთებას გამოსთქვამს. მე, როგორც ამ სასწავლებლის დაინტერესებული პირი, მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით პრესის საშუალებით შეგვატყობინოთ შემდეგი:

ა) რით აიხსნება თქვენს სასწავლებელში ქართულ ენას ადგილი რომ არა აქვს დათმობილი?

ბ) მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ამ ენის შემოღება?

გ) თუ მიგაჩნიათ, სასწავლებლის საბჭომ, ე. ი. თქვენ და თქვენმა ამხანაგმასწავლებლებმა, რა სახით და როდის მიმართეთ მთავრობას, ან საზოგადოებას ამ საკითხის შესახებ?

პატივისცემით მარტვილის საზოქაულოს მცხოვრები **გიორგი ახვლედიანი.**

# სიტყვა

**ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის დირექტორის თ. ე. კოტილევსკისა სწავლა დამთავრებულ მოწაფეთადმი.**

მოგილოცავთ თქვენ, ძვირფასო მოწაფენო როგორც ჩემი, ისე ყველა მასწავლებელ ქალებისა და ვაჟების სახელით თქვენი მეცადინეობის კეთილათ და სასურველათ დამთავრებას. დღეს მიიღებთ თქვენ აღმზდელ გიმნაზიიდან დოკუმენტებს, რომელნიც თქვენ შეგაძლებინებთ საკუთარ ცხოვრების გზაზე შედგომას.

მოწმობა, რომელსაც თქვენ, მოსწავლე ქალები დღეს მიიღებთ საშუალებას მოგცემთ ამოირჩიოთ თქვენი სამერმისო მოღვაწეობის გზა. თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ მერვე კლასში, სადაც მოემზადებით პედაგოგიურ მოღვაწეობისათვის ერთ ერთ არჩეულ სპეციალობაში. ეს გზა სწორი და პირდაპირია. მერვე კლასში თქვენ იმეცადინებთ გამოცდილ მასწავლებლების ხელმძღვანელობით. მაგრამ მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს გაუწყოთ, რომ თქვენი შემდეგი მოღვაწეობის გზა უნდა მოფიქრებითა და საზრიანათ აირჩიოთ, რომ წლის ბოლოს არც თქვენ განიცადოთ უსიამოვნება და არც ჩვენ გამოგვაცდევინოთ იგი.

იმავე მიზანს, ე. ი. შინაურ მასწავლებლობისას, ანუ უფრო საამდროვო მოწოდებას—პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლის მასწავლებლობას—თქვენ შეგიძლიათ მიაღწიოთ კერძო, თავისუფალ მომზადებით და სპეციალურ გამოცდით სავაჟო გიმნაზიებში. შეგიძლიათ სწავლის განგრძობაც უმაღლეს სასწავლებლებში. ამისათვის კი ხელახლა უნდა მოემზადოთ დამატებითი გამოცდისათვის. ბოლოს, იმ მოწმობით, რომელსაც თქვენ ახლა მიიღებთ, შეგიძლიათ მასწავლებლობა დაიწყოთ სახალხო შკოლებში, სადაც სასარგებლოთ იშრომებთ ჩვენ ღარიბ, დაჩაგრულ და ბნელით მოცულ საწყალ ხალხისთვის და ამნაირათ სთესოთ მათში „თესლი კეთილი და საუკუნო"...

როგორც ხედავთ, თქვენს წინაშე ფართო გზა არის გაშლილი. საჭიროა მხოლოდ ისარგებლოთ ამით მოსაზრებულის გამჭრიახობით და სიდინჯით...

კიდევ უფრო მეტი გამჭრიახობა გმართებსთ თქვენ. სავაჟო გიმნაზიის მოწაფენო, თქვენი შემდეგი მოღვაწეობის არჩევაში. თქვენგან მიღებული სიმწიფის მოწმობის უფლებები კიდევ უფრო ვრცელი და ფართეა; ფართეა ის გზაც, რომელიც თქვენ ახლა წინ გიძევსთ. მაგრამ, ვისაც მეტი მიეცა, მას მეტიც მოეთხოვება. დღემდი თქვენ მოწაფეები იყავით გიმნაზიისა, რომელიც გზდიდა და მზრუნველობდა თქვენ ისე, როგორც კეთილი აღმზდელი; დღეიდან კი თქვენ უნდა გამოეთხოვოთ ყმაწვილურ გულუბრყვილოლობას და ბავშურ თვითნებობა თავგასულობას. ამიერიდან უნდა იშრომოთ და აკეთოთ არა ის, რაც მოგესურვებიათ, არამედ ის, რაც გეკუთნისთ, საჭირო და უფრო სასარგებლოა. თქვენ უკვე მომწიფებული ხართ და, მაშასადამე, თქვენი საქციელითაც და სიტყვითაც უკვე პასუხისმგებელი ხართ საზოგადოებისა და კანონის წინაშე და აი, დღეის შემდეგ გმართებსთ განსაკუთრებული სიფთხილე. შემდეგი მოღვაწეობის არჩევაში თქვენ აგრეთვე უნდა ასწონ-დასწონოთ თქვენი გონებრივი და ნივთიერი ძალები:—უკანასკნელი იმისთვის, რომ იმ შორეულ ადგილას, საითკენაც, ცხადია, თითეული თქვენგანი მიისწრაფის უმაღლესი განათლების მისაღებათ, არ ჩავარდეს ცხოვრების მკაცრ და აუტანელ პირობებში. რაღა სალაპარაკოა, რომ უმაღლესი განათლება—ეს განსაკუთრებული სიკეთეა, მაგრამ იგი ყველასათვის როდია ბედნიერება. საჭიროა ეს საკითხი დიდის სიფრთხილით გამოირკვიოთ და გაითვალისწინოთ..,

მინდოდა კიდევ ბევრისაგან ბევრი მემუსაიფა თქვენთან ამ უკანასკნელ განშორების წუთებში, მაგრამ დღევანდელ სადღესასწაულო და თქვენთვის სამხიარულო დღეს აღარ მინდა თქვენი ყურადღება დავღალო ჩემი გძელი საუბრით. მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, თუ რა ძნელსა და აუტანელ პირობებში გვიხდებოდა თქვენც და ჩვენც მუშაობა გასულ სამოსწავლო წელს და აი რისთვისაა ასე ფასდასადები წრევანდელი მუშაობა...

ამასთანავე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ თქვენ იწყებთ მოქმედებას სწორეთ ისეთ დროს, როცა ეს შრომა ასე საჭირო და გამოსადეგია ჩვენ უდიდეს სახელმწიფოს ყოველგვარ ასპარეზზე. უსაშინელესი ომი, რომელსაც ჩვენ მოკავშირეებთან შეთანხმებით ასე სანაქებოთ აწარმოებს ჩვენი სამშობლო, სლავიანების გასათავისუფლებლად, მაღალი იდეების და სამართლიანობის დასამყარებლად, უეჭველია, გათავდება სანატრელი სგამარჯვებით და რუსეთიც განახლდება. და თუ ახლა რუსეთი ამა თუ იმ დარგში ჩამორჩა დასავლეთ ევროპას,—მაშ მით უფრო საჭიროა, რომ მომავალში ამ ჩამორჩენას ადგილი აღარ ჰქონდეს აქ, იგი აღარ იხსენებოდეს! ეს კი ასეც იქნება! ომისგათავების შემდეგ რუსეთი მიაღწევს სამოქალაქო წარმატება-დაწინაურებას მეცნიერებასა, ხელოვნებასა და ვაჭრობა-მრეწველობაში. ამის მისაღწევათ კი საჭირო იქნება უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა ახალი ძალებისა, საჭირო იქნება მოღვაწეები შესაფერისათ და საამდროვოთ მომზადებულნი, ენერგიულნი და მუყაითნი. ეს მტკიცეთ დაიმახსოვრეთ და ნუ დაკარგავთ უბრალოთ ნურც ერთ დღეს, საათს და წუთს; იმუშავეთ გაფაციცებით და დაუღალავათ. ამას მოელის თქვენგან საერთო სამშობლო—ჩვენი დიადი რუსეთი და სანეტარო კავკასია, თქვენ საყვარელ საქართველოსთან ერთად.

გისურვებთ თქვენ ყველას წარმატებას და გთხოვთ ისეთივე სიკეთით მოგვიგონოთ ხოლმე, როგორი სიკეთეც გვსურდა და გვსურს თქვენთვის...

# ახალი წესები ღვინის შესახებ.

**შემდეგი. იხილე „სამშობლო"-ს 68-ე №.**

6. ღვინის დაყენების დროს გასასყიდ ღვინოში წყლის შერევა აკრძალულია;

7. აკრძალულია გასაყიდათ დამზადება, გაყიდვა და შენახვა სავაჭრო-სამრეწველო შენობაში ყურძნის იმგვარ ღვინოებისა, რომელსაც ურევია ხილეულობის წვენისაგან დაყენებული ღვინო, ანდა ხილეულობის წვენი, ბადაგი და ყოველგვარი საღებავი, ან სურნელოვანი ნივთიერება. ამ მუხლის ძალით, აკრძალულ ნივთიერებათა სია შეიძლება შეივსოს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით მიწის მოქმედებისა და მიწისმომწყობის მთავარ სამართველოსაგან.

8. აკრძალულია დავაადებულ, დაძმარებულ, გამწარებულ და მომბალ ღვინოების გაყიდვა. დაძმარებულათ ჩაითვლება ისეთი ღვინო, რომელიც შეიცავს ლიტრ ღვინოში, 2 გრამზე მეტს ძმრის სიმჟავეს.

აკრძალულია დაავადებულ ღვინოების შენახვა ბოთლებსა და ბოჭკებში თუ ღვინო მოთავსებულია ისეთ შენობაში, სადაც სწარმოებს ღვინის ბოჭკებიდან ნაწილ-ნაწილად გაყიდვა; დაავადებულ ღვინოების შენახვა სარდაფებში სააქიმოთ, ან სპირტის გამოსახდელათ, ან ძმრის დასაყენებლათ შეიძლება მხოლოდ ერთი წლით.

9. აკრძალულია შერევა ღვინოში (!) ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა მაგალითად: სახარინის და სხვაგვარ ხელოვნურ ტკბილ ნივთიერებათა, ქვა-ნახშირის საღებავთა, ბენზოინის, მორის, სალიცილის, აზოტის, ფტორჰიდრულისა და მჟაუნის სიმჟავეებისა და მათი მარილებისა, ქლორჰიდრული და გოგირდული სიმჟავისა, ფორმალონისა, სბრიატოლისა და იმ ნივთიერებათა, რომლის შემადგენელ ნაწილებათაც არის ალიუმინიუმი, ტყვია, თავვისშაქარი, სპილენძი, ვერცხლის წყალი და შაბი და 2) დულცინი, გლიუკოზი, გლიცერინი, სტრონცი და მაგნი.

ეს მუხლი არ შეეხება ღვინოში მყოფ უმნიშვნელო სპილენძის მარილებს, რომელიც შეიძლება იყოს ღვინოში შერეული წურძნის სოკოების ავათმყოფობისაგან წამლობის დროს. ამ მუხლის ძალით აკრძალულ ნივთიერებათა სია შეიძლება შეივსოს მიწის მოქმედებისა და მიწის მომწყობის მთავარ-სამართველოსაგან, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით.

10. გასაყიდათ დამზადებული ან სავაჭრო სამრეწველო შენობაში შენახული ღვინოები, თუ უკეთუ ზემოხსენებულ მე-6, 7, და 8 მუხლების თანახმათ არ არის დაყენებული, მეპატრონეებს ჩამოერთმევა და ან სრულიად გადაიღვრება, ან და გადაკეთების შემდეგ გაიყიდება ხაზინის სასარგებლოთ.

11. აკრძალულია რუსეთის ყურძნის ღვინოების უცხოეთის ღვინოებთან შერევა და უცხოეთის ღვინოების სახელით გასაღება-გაყიდვა.

რუსეთის ყურძნის ღვინოებს, რომელსაც უცხოეთის ღვინოების სახელები ერქმევა, ეტიკეტებზე უნდა ჰქონდესთ გარკვევით აღნიშნული, რომ ღვინო რუსეთში დამზადებულია.

12. აკრძალულია გაყიდვა და შენახვა სავაჭრო სამრეწველო შენობაში ღვინის სახელით ისეთ სასმელების, რომელსაც აკეთებენ ყურძნის წვენისაგან ქიშმიშის წვენის შერევით, ან წყალისა და ქიშმიშის ერთად დადუღებით, ან ხილეულობის წვენის მიმატებით; საერთოდ აკრძალულია ყველა ის სასმელი, რომელიც თავისი შემადგენელი ნაწილებით ნამდვილ ყურძნის ღვინოს არ წარმოადგენს.

შენიშვნა: შენახვა და გაყიდვა სავაჭრო-სამრეწველო შენობაში ხილეულობის ღვინოებისა ნებადართულია, თუ ჭურჭლებზე აღნიშნული იქნება იმ ხილის სახელი, რომლისგანაც ის დამზადებულია.

13. აკრძალულია გასაყიდათ მოსამსახურეებისა და მუშების ქირაში გამოსაქვითავად დამზადება და შენახვა სავაჭრო-სამრეწველო შენობაში იმგვარ სასმელებისა, რომელიც დაყენებულია ყურძნის ჭაჭისა და შაქრის წყლის ან წმინდა წყლის ერთად სასპირტო დადუღებით (როგორც მაგალითად: „პეტიო", „პიკეტი" და სხ.); ამგვარ სასმელების დამზადება ნებადართულია მხოლოდ სპირტის გამოსახდელათ და აგრეთვე საშინაო სახარჯოთ, მაგრამ იმ პირობით, თუ წლიური რაოდენობა ჭაჭისა და შაქარ-წყლის დადუღებით დაყენებული სასმელის (პეტიოს) რაოდენობა არ აღემატება ათ ვედროს დესეტინა ვენახზე.

14. ბოთლებით ან ბოჭკებით გასაყიდათ გამოტანილ ღვინოს უნდა ჰქონდეს ეტიკეტზე აღნიშნული ღვინის ჯიში; ამას გარდა ბოთლებზე უნდა იყოს აღნიშნული სახელი და ღვინის დამყენებელ ფირმისა ან ღვინის მოვაჭრისა; ასევე უნდა იყოს აღნიშნული სავაჭრო და სარდაფის დავთრებში. ბოთლებში გადაღებულს, მაგრამ ფაბრიკების ან ღვინის ნარდათ მოვაჭრეთა საწყობებში შენახულ ღვინოს შეიძლება ჭურჭლებზე წარწერა არ ჰქონდეს, ხოლო წარწერა აუცილებლათ უნდა იყოს იმ ალაგას, სადაც ბოთლებში გადაღებული ღვინო ინახება, მაგალითად: შკაფებს თაღჩებსა და სხ.

15. ზემოთ აღნიშნული ყურძნის ღვინოების შედგენილობისა და მომზადების სავალდებულო წესები სავალდებულოა აგრეთვე უცხოეთიდან შემოტანილ ღვინოებისათვის იმდენათ, რამდენათაც ეს დადგენილებანი არ ეწინააღმდეგება უცხო სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებას.

# წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე განმარტებას დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში:

„სამშობლოს" № 67 მოთავსებულია ბ. სანიკიძის წერილი, რომლითაც უსაყვედურებს მექვენის გამსესხებელ ამხანაგობას გასულ წლის მოგების ურიგოთ განაწილებას. მე კი ვურჩევდი ბ. სანიკიძეს, რომ ვიდრე თავის შენიშვნას გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნებდა, გაეცნობოდა კრების, დადგენილებას, რომელთაც კრებამ სხვათაშორის, ომში დაჭრილ ჯარის კაცთა სასარგებლოთ გადასდვა რამდენიმე ნაწილი თავის მოგების ნაცვლად, ამხანაგობას სცოდნია სხვა დარგის ქველმოქმედებაც! თუმცა მე არ დავესწრებივარ კრების მიერ მოგების განაწილებას და არც ვიცი რით ხელმძღვანელობდა კრება განაწილების დროს, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს განაწილება უფრო სამართლიანია, ვიდრე სანიკიძის მიერ ნავარაუდევი:

დერჩისა და მექვენის სოფლების მცხოვრებნი შეუდგნენ სასწავლებლებისათვის ახალი შენობების აგებას და ისინი მეტათ საჭიროებენ დახმარებას. ასეც რომ არ იყოს, ასე მცირეოდენი თანხა რომ ყველა სასწავლებლისათვის გაეყოთ, ვერც ერთი მათგანი რაიმე თვალსაჩინო შეკეთებას ვერ მოახდენდა და, მაშასადამე, შეწირულებაც სასურველ მიზანს ვერ მიაღწევდა.

მზრუნველი ამხანაგობისა

**იას. ახვლედიანი.**

——

ბატონო რედაქტორო! 23 აპრილის თქვენი გაზეთის 65-ე ნომერში სწერს ვიღაც ვაჟაბატონი, შესახებ ჩემის ოჯახობისა, რომ ვიღაც მანდილოსნების ჯგუფი აგროვებდა ქალაქ ქუთაისშიდ, დაჭრილ ჯარის კაცთა სასარგებლოდ ფულებს, ვითომც ფულის მოგროვება ჩემის ოჯახობის თაოსნობით ყოფილიყოს. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. ნუთუ ამ ცნობის მომწვდელმა ვერ გაიგო ვინ იყვნენ და ვისი ნებართვით აგროვებდნენ ფულებს ის მანდილოსნები? მართალია ფულს აგროვებდა ენჯენ-ხანუმ ლოლუასი თ-დ მაყარა შერვაშიძის ასული, რომელსაც ჰქონდა მონდობილობა ზუგდიდის მაზრის, რედუტკალის ნაწილის ბოქაულისა და მისი თანაშემწესაგან, მაგრამ ჩემი ოჯახობის თაოსნობით კი არა. მოხსენებული ქალბატონი შერვაშიძის ასული არაა ისეთი პირი და არც გაჭირვებული, რომ მოუნდომლად აღნიშნული შემწეობის მოკრეფა ეკისრა და არც ვისიმე მეთაურობა ესაჭიროებოდა მას.

პატივისცემით **ვ. ხორავა.**

——

ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სათავე-რიგო ჯარის კაცთა ოჯახების სეფის შედგენაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**განცხადება.**

პატივცემულ „სამშობლოს" რედაქციას თხოვს ჟურ. „განთიადის" რედაქცია გამოაცხადოს შემდეგი.

ბ-ნ ისიდორე კვიცარიძემ გასაყიდათ დაუგზავნა „განთიადის" ნუმრები შემდეგ აგენტებს: თფილისში გიორგი მ. მახარაძეს („განთიადის" კანტორა) № 1 70 ცალი და № 6 30 ც. იქვე, კიოსკი—თეატრის შესავალში—სიმონ გელაშვილს № 5 20 ც. № 6 20 ც.; ჭიათურაში—ისიდორე შილაკაძეს № 4 30 ც. № 5 25 ც. № 6 20 ც.; ქვირილაში—ალექსანდრე ეჟენას № 5 20 ც.; № 6 20 ც.; სამტრედიაში—წ. კ. ს. კიოსკი—მინა კოპალეიშვილს № 5 25 ც.; № 6 20 ც.; იქვე ვაგზლის შკაფი—ვ. ახობაძეს № 5 20 ც, № 6 20 ც.; ფოთში—სიმონ ორაგველიძეს № 5 15 ც.; № 6 10 ც.; ახალ სენაკში—ვლ. კვანტალიანს № 4 10 ც.; № 5 10 ცალი და № 6 10 ცალი.

ამ აგენტებს, გვწერს ბატონი ისიდორე კვიცარიძე, ზოგს ორი №-ის აქვს გასწორებული, ზოგს სამის და ზოგს არც ერთი ნუმრისაც არ გაუსწორებიათ. თქვენ თვით მისწერეთ მაინც, რომ ყველა ნუმრის ანგარიში გაასწორონ.

ჩვენ, ჩვენის მხრით, სათითაოდ ბარათების მიწერა რამდენჯერმე მოუხერხებლად მიგვაჩნია და არც დრო, მოცლა გვაქვს ამისა.

ამიტომაც, მივმართავთ პრესას და იმისი საშუალებით უკანასკნელად ვთხოვთ ამ ზემოთ დასახელებულ აგენტებს, კეთილ-ინებონ და ანგარიში თვით ჟურნალ „განთიადის" რედაქციას გაუსწორონ პირდაპირ დაუყოვნებლივ, თუ სურთ მათ შემდეგშიაც მიიღონ ჟურნალის ნუმრები გასაყიდათ და თავის მოჭრაც არა სურთ*).

პატივისცემით ჟურ. „განთიადის" რედაქცია.

*) ჩვენ რედაქციებს ღუპავს აგენტ-გამყიდველების ასეთი საქციელი. რა გვეშველება, ან როგორ უნდა მოევლოს ამ საქმეს? გთხოვთ, გვასწავლოთ, მოგვეხმაროთ! **რედ...**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

დაიბეჭდა და იყიდება **ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники" въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 მ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**გ ა მ ო ვ ი დ ა   დ ა   ი ყ ი დ ე ბ ა**

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.